№ 157

შაბათი, 2 აგვისტო 1897 წ.

1877—1897

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 157

შაბათი, 2 აგვისტო 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227


## სასწავლებელი მეორე ხარისხისა

## ს. პ. ბ. ჯორჯიკიასი

(ქუთაისი, ტფილისის ქუჩა, №№ 28 და 35).

სასწავლებელი შესდგება სამის მოსამზადებელ და ორის პროგიმნაზიულ კლასისაგან. სასწავლებელთან დაარსებულია პანსიონი და სარეპეტიციო (საღამოს) კლასები როგორც ამავე სასწავლებლისა, ისე გიმნაზიისა, რეალურ და სხვა სასწავლებლების ყველა კლასის მოსწავლეთათვის.

მისაღები ეგზამენები იწყება 20 აგვისტოდგან, ხოლო სწავლა—პირველ სექტემბრიდგან.

(10—ნ.—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

მ. ლელიძის გამოცემული

ახალი თხზულება-პოემა

აკაკისა

## ნათელა

(ძველებური ამბავი)

წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.

ფასი თითო აბაზი.

ვინც ამ წიგნს ერთად ნაღდ ფულზედ იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20%. მსურველთ ფასს-დადებითაც გაეგზავნებათ. (10—145—4)

**მასწავლებელ ქალთა საზოგა. დოების სკოლა.**

დაიწყება ორივე სქესის მოსწავლეთა მიღება 25 აგვისტოდგან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული.

სკოლა გადავიდა ახალს სადგურში, ნაგორნი და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, საგარდა-პოსერბსკის სახლებში, № 12. სწავლა დაიწყება 1-სექტემბერს.

(10—უ—1)


**მთავრობის განკარგულებანი**

—

ებოძათ: სამსახურის წელთა შესრულებისა გამო სტატსკი სოვეტნიკობა—კავკასის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს ფხაკაძეს.

## ახალი ამბავი

—

⁂ გუშინ, 1 ლს აგვისტოს, ასე 11½ საათზედ, წირვის შემდეგ, რომელიც ახალს სამხედრო ტაძარში იქმნა გარდახდილი, საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა და გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, ქალაქის სამღვდელოებითურთ ჯვარი და ხატები წამოასვენეს, რომელსაც ქალაქის ამქართა დროშანი უძღვოდნენ წინ და იმ ადგილას, სადაც ნათლიღებას აკურთხებენ ხოლმე წყალს, საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის გამართულს იორდანეში წყალი აკურთხეს. ხალხი მრავალი მოსდევდა თან პროცესიას და იორდანეზედაც ტევა არ იყო. ასე 12¼ საათი იქნებოდა, რომ ჯვარი წყალში ჩაასვენეს. მტკვრის ორსავ ტოტზედ მოდებული ხალხიდგან მრავალი მტკვარში შესცურდა საბანაოდ. მტკვარში, აქა-იქ ნავები დასცურავდნენ, რომ შემთხვევის დროს გაჭირვებულთათვის ეშველათ.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი თავისს მოგზაურობიდგან ჩრდილო კავკასიაში 3 აგვისტოს დაბრუნდება ტფილისს. მთავარ-მართებელს საქართველოს სამხედრო გზაზედ სად. ყაზბეგში ტფილისის ახალი გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი მიეგებება.

⁂ ბუხარის ემირი, გუშინ 1-ლ აგვისტოს, თავისს სამშობლოში დაბრუნდა. ემირმა ტფილისში ყოფნის დროს ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი ბიკოვი 1-ლის ხარისხის ოქროს ვარსკვლავით დააჯილდოვა.

⁂ უწმინდესის სინოდის გარდაწყვეტილებით სენაკის მაზრის თეკლათის დედათა საზოგადოება დედათა მონასტრად იქმნება გადაკეთებული იმდენის მონაზონისათვის, რამდენსაც მონასტერი დაიტევს.

⁂ ტფილისის გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი მ. პ. ისარლიშვილი ბუხარის ემირმა მე-2 ხარისხის ოქროს ვარსკვლავით დააჯილდოვა.

⁂ როგორც შევიტყვეთ, ჩვენი ახალგაზდა ექიმი კ. კ. თოფურიძე სამუდამოდ დაბინავებულა ტფილისში. იგი მიუწვევიათ უსინათლოთა სამკურნალოში. ჩვენს ქალაქში ისე ცოტანი არიან ქართველნი ექიმნი, რომ ყოველის ახალის ექიმის აქ სამუდამოდ დაბინავება დიდად სასიამოვნოდ აღსანიშნავია.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის საქმის მწარმოებელი დეისტ. სტ. სოვეტ. ნ. გ. ყორღანოვი სამსახურს თავს თურმე ანებებს.

⁂ ქალაქის უძრავ ქონებათა დამფასებლად ახლად ამორჩეულს გ. ა. ჩიმიშკიანს ამ თანამდებობაზედ უარი უთქვამს.

⁂ როგორც ხატის-თელეთის სოფლის საზოგადოების მამასახლისი აუწყებს მაზრის უფროსს, სოფ. წალისყურის მცხოვრებნი დიდით პატარამდე თურმე ციებით არიან ავად.

⁂ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში ამ ჟამად მხოლოდ ერთია თურმე წითელით ავად.

⁂ დარუბანდის პოლიცმეისტერს თავ. ვოლკონსკის ბაქოს პოლიცმეისტრად თურმე ჰნიშნავენ.

⁂ გუშინ გაზ. „Нов. Обозр“-დგან გადმობეჭდილი გვქონდა ყაზახში ყაჩაღების-მიერ ბოქაულის თავ. აბაშიძის და სხვათა დახოცვის ამბავი. აი, რასა გვწერს ამ საქმის თაობაზედ დილიჯანიდგან საკუთარი კორესპონდენტი. „29 ივლისს, ქ. ყაზახიდგან სამწუხარო ამბავი აცნობა დეპეშით დ. დელიჯანში ყაზახის მაზრის უფროსს, ბ. მაღალაშვილს თვისისავე თანაშემწემ თავ. ჭავჭავაძემ: „ყაზახის მახლობლად, ს. ალიბეგლოში, ცნობილმა ყაჩაღმა აბზაროღლიმ მოჰკლა ამავე მაზრის ბოქაული თავ. აბაშიძე, იმის მწერალი და ოთხი ჩაფარი იმ დროს, როდესაც ამავე ყაჩაღს სდევნიდნენ“. აბზარ-ოღლის თავის ამხანაგებით ისეთ მიუვალ ადგილს ჩაუგდია თავ. აბაშიძე და იმისი მხლებლები, რომ საწყლებს თავი ველარ დაუხწევიათ და ექვსივე ერთად დაცემულან ყაჩაღის ულმობელი ხელისაგან. თავ. აბაშიძე ერთ პირველ ბოქაულთაგანი იყო განჯის გუბერნიაში და საერთო სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. როგორც ამბობენ, ახლო მომავალში მაზრის უფროსის თანაშემწედ უპირებდნენ დანიშვნას. საზოგადოდ ყაზახის მაზრაში ამ ბოლოს დროს ყაჩაღების თავგასულობას საზღვარი არა აქვს, დღე არ გაივლის, რომ არავინ იმსხვერპლონ. განსაკუთრებით შიშის ზარს გვრიან ამ მაზრის სოფლებს ორი ცნობილი ყაჩაღი: აბზარ-ოღლი და თაღრივერდი, რომლებიც ცალ-ცალკე ნავარდობენ თავიანთ ამხანაგებით და ხან ზევით მოექცევიან ამ მაზრას ხ ნ ქვეით. ღამ-ღამე მგზავრობა აქეთ საშიშოა და ამიტომ მაზრის უფროსიც აფრთხილებს მგზავრებს, რომ ღამე არ იარონ. თავ. აბაშიძის მკვლელნი ჯერ არ შეუპყრიათ“.

⁂ სამეგრელო. ამას წინად ჩვენ აღვნიშნეთ ყაჩაღ სტეფანე ჯიქიასის რაინდული მოქმედება, რომელ-

## ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

არ დაგაქანგებ, ხანჯალო,
მაგრე ადვილად ქარქაშში,
არც აღგიკრძალო სამუჭმოდ
მაღლა ნავარდი, თამაში;
დრო მოვა ხელი გაგავლო,
მტერზედ დაიწყო პარპაში,
მის სისხლით მოსვრილს, შეღებილს
წითლად გაგქონდეს კაშკაში!..

ვ. თ—შვილი

**ქაიხოსრო**

(მოთხრობა ვ. ველიჩკოსი).

(დასასრული *)

ამ დროს უცებ წამოდგა ერთი ჩოხიანი, ის, რომელიც მილიციის პრაპორშჩიკს ესაუბრებოდა, მიიდო ქუდზედ ხელი და უთხრა:

— თქვენო აღმატებულებავ, ნება მომეცით, გავიხადო ტანთ...

— როგორ თუ გაიხადო? რას მიედებ-მოედებით?

— აქ მოგართმევთ გემს.

— გადი, დაიკარგე აქედგან.

— მაინც ნება მიბოძეთ გავიხადო, თუ ქალბატონები არ შემრისხავენ.

— რას ამბობს? იკითხა რამდენმამე აქ მყოფმა.

— წავალ ცხენით და გემის თოკს აქამდე გამოვიტან.

— სრული ჭკუა გაქვს, თუ არა? ეგ ხომ თავის მოკვლას ემსგავსებაო? შეეკითხა კაპიტანი.

— თქვენ ნუ გეფიქრებათ, ცოცხალიც გადავრჩები და გემსაც გამოვიტანთ.

— მართლა-და, თქვენო აღმატებულებავ, მიჰმართა კაპიტანმა ადმირალსა, ეს ბიჭი ნავზედ მეტს ომახიანობას გამოიჩენს, გემის თოკს კიდემდე გამოვათრევთ, და მერე აქედგან გამოწევა ხომ ადვილია.

— დეე გამოიტანოს, უთხრა ნავთსადგურის უფროსმა, მაგრამ ეგ მაგას სად შეიძლებს და თავს-კი უბრალოდ დაიღუპავს...

— თავს რად დავიღუპავ, ცოცხალიც დავრჩები, მე ვიცი, და გემიც გამოტანილი გვექნება.

ბევრს სიცილი მოუვიდა.

— ქაიხოსრო რას დაირჩობა, სთქვა კაპიტანმა, რა ბიჭი დაირჩობა, დიახ, როგორ არა. მე რომ მაგას ვიცნობ, ეგ ადამიანი-კი არა, ჭინკაა, ჭინკა, მაგას რა დაარჩობს.

— ჭინკა რად ვიქნები, ბატონო, ვინ დაგვძრახა, აგრეთივე ქრისტიანი ვარ, როგორიც თქვენ, უთხრა გულნაწყენმა ქაიხოსრომ.

— ალერსით გითხარი, ბიჭო, როდი უნდა გეწყინოს,—და დაადო მხარზედ ხელი.

— ვიცი, ბატონო, ვიცი! ჩქარა ცხენი!.. დაიძახა ქაიხოსრომ და ამ დროს ვიღაცა ბავშვმა მოუყვანა ცხენი.

ყველამ თვისდა უნებურად სიამოვნებით დაუწყო ცქერა. ცხენი მშვენიერი იყო, ყარაბაღული, ლამაზი ყელი ჰქონდა, დიდრონი ნესტოები და თვალებით თითქოს ცეცხლს აფრქვევდა. ერთის წუთის შემდეგ მხედარიცა და ცხენიც ტალღებში დაიმალნენ. აგერ ისევ გამოჩნდნენ და ყოველ იმათ გამოჩენასა და დამალვის დროს აქ დამსწრე ხალხში ან საშინელი მწუხარე ყვირილი ასტყდებოდა ხოლმე, ან სასიამოვნო კიჟინა.

ელექტრონით განათებულ გემზედა სჩანდა, რომ ხალხი ხან აქეთ ეცემოდა და ხან იქით. ქალები გულშემოყრილები ეყარნენ ძირს და კაცები იმათ დასტრიალებდნენ. კაპიტანი იდგა ბაქანზედ და ბრძანებას აძლევდა აქეთ-იქით ხელების ქნევით და ზღვაოსნებიც გაქანებულნი ირჯებოდნენ. აგერ გემთან გამოჩნდა რაღაცა წერტილი, თითქო ვიღამაც თავი ამოჰყო... არა, ორი თავი იყო... ცხენისა და კაცისა.

— თოკს აძლევენო, დაიძახა ადმირალმა, რომელიც ხარბად შესცქეროდა ამ ამბავს. მართლაც ქაიხოსრომ მოავლო თოკს ხელი და წამოვიდა კიდისაკენ. რამდენჯერმე ხან დაიკარგებოდა ხოლმე ტალღათა შორის და ხან ისევე გამოჩნდებოდა და ამისდა გვარად სასოწარკვეთილება მხიარულებად იცვლებოდა. ბოლოს მოღალულ-მოქანცული ქაიხოსრო გამოვიდა და გემის თოკის წვერი გადასცა ნავთ-სადგურის მეზღვაურებს.

— აბა გამოიწიეთ, ბიჭებო, ჩქარა!..

გაისმა სიმღერა და გამოსწიეს თოკს. აქ დამსწრე ხალხიც იმათ მიეშველა. უცებ თოკი გაწყდა!.. ხელმეორედ ყვირილი დ გულის შემზარავი წივილ-კივილი გაისმა; ირგვლივ-კი უკუნეთი იდგა, მხოლოდ განათებული ბედ-შავი გემი მოსჩანდა ტალღებსა და ზვირთებს იქით.

— სად არის ქაიხოსრო, სად არის? ახლა თითქოს ყველა ჰგრძნობდა, რომ ამ გემის ბედ-იღბალი მთლად მხოლოდ ერთ კაცზედ იყო დამოკიდებული. ქაიხოსრო წარსდგა ადმირალის წინაშე.

— კიდევ ვცდი ბედსა,—სთქვა მან.

— დაღალული რომ ხარ?

— დავიღალე, მაგრამ როცა მინდა, რა დამღალავს!

— შენ იცი,—წამოიძახა ადმირალმა და თავისდა უნებურად მაგრად ჩამოართვა ხელი.

— სხვა ცხენი წაიყვანე, უთხრა კაპიტანმა.

— რად მინდა სხვა ცხენი? სთქვა ეს ქაიხოსრომ, ისევ შემოახტა ცხენს და შევარდა ხელ მეორედ ზღვაში.

ასტყდა ხელ-მეორედ სამწუხარო წივილ-კივილი, რომელიც ხან და ხან სიხარულის ყიჟინად გარდაიქცეოდა ხოლმე.

სიკვდილი დ სიცოცხლე შეეჯიბრ-

*) იხ. „ივერია“, № 155.

მაც მთელი სამეგრელო ფეხზედ დააყენა და აალაპარაკა. ახლა ამის გამო ისეთი ზომებია ადგილობრივის ადმინისტრაციისაგან მიღებული, რომ მეტი გზა არ არის, ან უნდა დაიჭირონ ჯიქია და ან მოკლულ უნდა იქმნას. ყაჩაღი ს. ჯიქიას საცხოვრებელი ადგილი და მისი საბუდარი არის ზუგდიდის მაზრა. ამის გამო, იქაურმა ადმინისტრაციამ ისეთი სასტიკი ბრძანება გასცა, რომ თუ არ ეს საშუალება, სხვა ღონე წყლის ნაყვა იქმნება. ადმინისტრაციამ ჯერ ის შეიტყო და გამოიკვლია, თუ ვინ უწევდა დახმარებას ყაჩაღ ჯიქიას და ვინ იყო მისი მფარველი და ხელ-შემწყობი. ამ გამოკვლევიდგან აღმოჩნდა, რომ ჯიქიას მრავალი შემნახავი და მფარველი ჰყოლია, რაც სრულს ნებას აძლევდა ჯიქიას თავისი მოქმედება უშიშრად განეგრძო. ახლა ამ ცნობების შემდეგ—ადმინისტრაციამ ყველა ისინი დაიბარა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ჯიქიას მფარველობა. ზოგი მათგანი, ე. ი. ვინც კი მთავრობას შენიშნული ჰყავდა მაგ-გვარ საქმეში, დაამწყვდია, ზოგი კი განათავისუფლა.

*** სად. ბელაგორი. არა მგონია ამიერ-კავკასიის რკინის გზის სხვა რომელსამე სადგურზედ ისეთი უწესოება და უკანონობა იყოს სხვა-და-სხვა საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის საქმეში, როგორც ჩვენს სად. ბელაგორშია. მთელი კვირა უნდა ელოდოს მოვაჭრე, ვიდრე იმის საქონელი საწყობში იქმნება შეტანილი, აწონილი და დანიშნულებისამებრ გაგზავნილი. კანონს რომ თავი დავანებოთ, ხვეწნა-მუდარასაც-კი აღარა აქვს გასავალი და საქმეს აღარაფერსა ჰშველის. ვიდრე ჩვენს სადგურზედ „კანტორჩიკად ბ-ნი ვ ყოფილი იყო, ყველაფერი თავის დროზედ და კარგად სრულდებოდა, ხოლო იმისს სხვაგან გადაყვანის შემდეგ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ამას წინად ერთმა მოვაჭრემ საქონელი მიიტანა სადგურზედ სხვაგან გასაგზავნად. მთელი ერთი კვირა გარედ ეწყო საქონელი ღორებისა და ბატების სასიხარულოდ, ვიდრე სადგურის უფროსმა კეთილ არ ინება და არ შეატანინა საწყობში ასაწონად. ასეთი ამბები ძალიან ხშირია. გარდა ამისა, ვეღარც გაზეთსა და ვეღარც ჩვენთან გამოგზავნილს წერილს ვეღარ ვღებულობთ. ამის გამო გაზეთის დაკვეთაზედ ყველამ ხელი აიღო, რადგან დარწმუნებულია რომ არ მიიღებს.

*** სოფ. სანება-მთა, (კავკავის მაზრა). 21 ივლისს აქ მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი. ამ დღეს ამ სოფელში სოფლელებს სამღრთო ჰქონდათ. შეზარხოშებული სახლიკაცები ასლანბეგა და თემბოლათა ფიდაროვები შელაპარაკდნენ რაღაცაზედ. თემბოლათამ ჯოხი მოუქნია ასლანბეგს და თან ძმაც წაეშველა თემბოლათას. ასლანბეგამ რომ შეატყო, ორნი დამძალვეო, იძრო ხანჯალი და თემბოლათა და მისი ძმა მძიმედ დასჭრა. თემბოლათას ხუთი მძიმე ჭრილობა აქვს. ორივე ძმას მკლავის ძარღვები აქვთ საშინლად გასხეპილები. სისხლი ვერას გზით ვერ შესწყვიტეს შინაურის წამლებით, და ამიტომ ორივე დაჭრილი ძმები კავკავის სამხედრო საავადმყოფოში გაჰგზავნეს, გამოძიება სწარმოებს.

ამავე დღეს განალის გიჟმა წყალმა მოიტაცა სანებელის მცხოვრები ხაითი ფიდაროვი ურმით, ცოლით, პატარა ქალით და სხვა-და-სხვა ავეჯით. მისდა იღბლად წამოეწივნენ დარღავსელი მგზავრები და ხაითი, მისი ცოლი და პატარა ქალი როგორც იყო ცოცხალ-მკვდარი გადაარჩინეს. ურემი სულ დალეწა და ავეჯები სულ მოიტაცა წყალმა.

*** მომავლის საზამთრო სეზონისათვის ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა თეატრი ს. ა. პალმას აუღია იჯარით. ოქტომბრიდგან თეატრში რუსულ კომიკურ ოპერებს წარმოდგენა დაიწყება.

*** როგორც ბ-ნის კლინგენის მიერ პეტერბურგში წაკითხულ მოხსენებიდგან სჩანს, 1893 წელს გორის მაზრაში, სურამისაკენ, უკვე 35 ვენახში ყოფილა ფილოქსერა აღმოჩენილი; 12 წლის განმავლობაში მთელს კავკასიაში 100,000 დესეტინიდგან სულ 36 დესეტ. ვენახი დაუწყვავთ, რომ ამით დანარჩენი ვენახები დაეხსნათ ფილოქსერისაგან. ამავე დროს ბესსარაბიაში 66,67 ათას დესიატ. 426 დესეტინა ვენახი მოუსპიათ. მთელს კავკასიაში ფილოქსერასთან ბრძოლაზედ მთავრობას დაუხარჯავს 800,000 მან. (100,000 დესეტ. ვენახზედ), და თითოეულს დესეტინაზედ დახარჯვია სულ 8 მან., მაშინ, როდესაც ყირიმში დესეტინაზედ მთავრობას 300 მან. დაუხარჯავს. კავკასიაში სულ რამდენიმე ასი დესეტინა გადაურჩენია ფილოქსერისაგან.

*** 30 ივლისს, მიხეილის ქუჩაზედ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა. ვიღაც ზაზიევი ცხვარაძეს სადურგლო სახელოსნოში მივიდა თურმე და ფულის თხოვნა დაუწყო სახელოსნოს წარწერის საფასად, რომელიც ცხვარაძემ ათის თვის წინად თურმე შეუკვეთა. ზაზიევმა სამუშაო დროზედ არ მიუტანა ცხვარაძეს, რის გამოც ამათ შორის ჩხუბი ასტყდა. ცხვარაძე პირველად უარზედ თურმე იდგა და არ იღებდა სამუშაოს, მაგრამ ბოლოს თანხმობა განაცხადა და დაჰპირდა ფულს მოგცემ, თუ წარწერა მომეწონაო. ზაზიევი-კი თავისას გაიძახოდა, გინდა თუ არა, ფული უნდა მომცეო. ამ ლაპარაკში ზაზიევმა ხანჯალი ამოიღო და ცხვარაძეს მიჰვარდა, მაგრამ დაჭრით ვერ დაჭრა, რადგანაც იქ დამსწრე გარეშე კაცებმა დროზედ გააშველეს. ზაზიევი სახელოსნოდგან გარედ გამოიყვანეს, მაგრამ იგი მაინც არ იშლიდა და ლანძღვა-გინებით იხსენიებდა ცხვარაძეს. ცხვარაძესაც გულმა აღარ მოუთმინა. გაუვარდა და ახლა ქუჩაში ასტეხეს თურმე ჩხუბი. ამ დროს ზაზიევმა რამდენიმე ლაზათიანი სილა აჭამა ცხვარაძეს. ცხვარაძემ, გულმოსულმა, იქვე მდგომს ვიღასაც რკინის ჯოხი გამოსტაცა და ზაზიევს შეუმაღლა. ზაზიევმა დიდხანს არ აცალა, იძრო ხანჯალი და ცხვარაძე მარჯვენა მხარში მძიმედ დასჭრა. ცხვარაძე მიწაზედ დაეცა. ხალხი მაშინვე დაჭრილს შემოეხვია, დანარჩენნი-კი ზაზიევს ეცნენ და, როგორც-კი შეეძლოთ, სცემდნენ. დაჩეჩქვილი ზაზიევი, მიუხედავად ამისა, ხალხს ხელიდგან გაუსხლტა და თავს უშველა, მაგრამ დიდხანს არ ისარგებლა ამ განთავისუფლებით. კირკას ქუჩაზედ იგი პოლიციელმა შეიპყრო და პოლიციაში წარადგინა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. სურამი**, 25 ივლისი. დაბა სურამი კარგი შემკობილი ადგილის მდებარეობით, ჰავით და მშვენიერის ცივის წყაროებით. რაც შეეხება გართობას, არა მგონია უკეთესი დაბა ანუ სოფელი იყოს ჩვენს ქართლ-კახეთში. წარმოიდგინეთ, ცოტა მოშორებით ჩრდილოეთის მხარეს დგანან იუნკრები და ბოლოს სამხრეთის მხარეს რამდენიმე რაზმი ადგილობრივის მხედრულ დრუჟინისა. პირველნი ჰმართავენ კვირაში რამდენჯერმე სადამოს, სადაც იწვევენ თავიანთს ნაცნობებს დროს გასატარებლად, ხოლო მეორენი თითქმის ყოველ დღე სადამოობით მღერიან და თამაშობენ, გარნა დილაობით ვარჯიშობაში არიან. გარდა ამისა, სურამშივე არის მშვენიერი მუხის ტყე, ოდესმე კუთვნილი ერთის თავადიშვილისა, მხოლოდ ეხლა უცხოტომისა, ერთი მხარე მინდორისა, რომლის პატრონსაც შემოუფარგლავს და სახელად უწოდებია „როტონდა“. აქ არის გამართული ოთახი ბანქოს სათამაშოდ, ბილიარდი და ბუფეტი. კვირაში რამდენჯერმე უკრავს მუსიკა და დადის ხალხი ხან ბილეთით ხან უბილეთოთ და სცეკვავენ. მერე, რომ იცოდეთ, რა ენით საუბრობენ ჩვენი მანდილოსნები. აი ერთი მაგალითი: „ქა ანიჩკაჯან, თქვენს ხართ? ნუცაჯა სადა გყავთ? აბა რას მიბძანებთ, თქვენგნით არ მიკვირს, აქ დავსკუჩნავდი და ახლა წავალ ბორჯომს გავიგულავოთ და იქნება ტოტაც იქა ვნახოო. სწორედ მოგახსენოთ, კარგათ უნებეია, მეც არ გამიკვირდა, რა ჩქარა უდახნია მთქა“.

წლეულს, სხვა წლებთან შედარებით, აქ ბევრი ხალხი მოსულა საზაფხულოდ, რის გამოც ყველაფერი სანოვაგე ძვირია და განსაკუთრებით სახლები.

აქ საგრძნობლად ცხელა ასე, რომ მზეში 30 და ჩრდილში 19 გრადუსია. დიდი ქუჩა, რომელიც სურამის თვალად ითვლება, ვერ არის შენახული სუფთად, როგორც რიგია.

სტუმარი

## წერილი სამეგრელოდან

წარსულ ივნისის 25-დგან სოფ. საწულეისქირიოში პირველად თავი იჩინა მუცელამ. ეს სენი ფალარათით ემართება ადამიანსა და ზოგიერთებს დიდის ტანჯვა-წვალებით ერთის კვირის შემდეგ ასალმებს წუთისოფელს. განსაკუთრებით ავად ხდებიან ხანში შესულნი და მოხუცებულები, უფრო კი შიშისაგან. ამ სენით თითქმის ათი ადამიანია მომკვდარი და ლოგინად მრავალია ჩავარდნილი, რომლებიც სიკვდილს ებრძვიან. მთელი სოფელი შეშინებულია და ზოგიერთები კიდეც გაიხიზნენ და გაეპარნენ ავადმყოფობას. მაგრამ სამწუხაროდ და საუბედუროდ, იქვე მახლობელს სოფლებშიაც ორ-სამგან თავი იჩინა ამ ავადმყოფობამ. სავალალო ის იყო, რომ დროზედ არაფერი ღონე არ მიიღეს ამ სენის საწინააღმდეგოდ. ამის გამო სენმა მახლობელ სოფლებ შორის სოფ. თეკლათის საზოგადოებაში (სენაკის მაზრა) ამოყო თავი და საცაა აგერ გამოიჩენს თავისს ღონიერს ძალას. თეკლათის რამდენსამე ოჯახში არა ერთსა და ორსა სჭირს, რომლებიც სიკვდილის პირად არიან მივარდნილნი. ხალხი ძალიან შეშინებულია და არ იციან, თუ როგორ უნდა მოუარონ თავიანთს თავს. დრო კია, დრო, ვისგანაც ჯერ-არს, ახლა მაინც მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას, თორემ თუ კიდევ სხვაგანაც გადავიდა, შემდეგ მასთან ბრძოლა უფრო ძნელი იქნება. ან და სადა აქვს საწყალ-გაჭირვებულს სოფლის ღატაკს გლეხს იმდენი შეძლება, რომ ექიმი მოიწვიოს თავისის ხარჯით, როდესაც ეს ოთხი თუ ხუთი წელიწადია, რაც ბუნება გადაემტერა, ხან დიდის თოვლითა და ხან წყალ-დიდობით და მისი იმედი და ნუგეში სიმინდი-კი აზღვავებულმა მდინარეებმა შავს ზღვას მისცეს...

ტელეფონი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწემ ვ. კ. საბლერ-

---

ნენ ერთმანეთს და ყველაზედ ძლიერ გამოცდილი ადამიანიც ვერ იწინასწარმეტყველებდა, რომელი გაიმარჯვებდა.

გამარჯვება ქაიხოსროს დარჩა.

გავიდა ნახევარს საათზედ მეტი გაცხარებულის ბრძოლის შემდეგ, ქაიხოსრო გამარჯვებული მობრუნდა უკან და თან მოათრევდა არა ერთს, არამედ ორს დიდს თოკს—ერთი მარცხენა ხელით ეჭირა და მეორე კიდევ კბილებით. ყველა გაოცდა.

— აბა კბილები მაგან დაიკვეხოს! შენიშნა ბრალმდებლის ამხანაგმა, რომელსაც, როგორცა სჩანდა, არაფერი არ აღელვებდა.

— კბილები-კი არა, არა, სული და გული, მოწყალეო ხელმწიფევ, სული და გულიო, უპასუხა მოხუცებულმა კაპიტანმა და თან ცრემლები ჩამოსდიოდა.

ქაიხოსრო გადმოსვეს ცხენიდგან. იმდენი ძალა აღარა ჰქონდა, რომ განძრეულიყო. ორმა თავისმა თანამემამულემ იქავე გაუშალეს ნაბადი, დაასვენეს ზედა და თბილად დაჰხურეს ნაბდებითვე.

კიდევ გაისმა სიმღერის ხმა. თოკები ახლა მაგარი გამოდგა და გემი გადარჩა.

დასასრული არა ჰქონდა ხვევნა-კოცნასა, და მადლობის აღვლენას ღვთის მიმართ, რომელმაც ამდენი შეაძლებინა ადამიანიშვილს.

— ვინ დაიხსნა?.. სად არის იგი?.. სად არის ქაიხოსრო? გაისმოდა ყოველ მხრივ.

ქაიხოსრომ შეისვენა, ტანთ ჩაიცვა და დაიხურა, გაისწორა ქუდი, მასრები და სიამოვნებით ეწეოდა ვიღაც სომეხისაგან ნათავაზებს პაპიროზს.

ყველანი იმასა ჰკოცნიდნენ და ისე გაუჭირეს საქმე, რომ თითქმის შეაწუხეს. ვიღაცა ღენერალი, რომელიც საპატიო სახელმწიფო მოღვაწე გამოდგა, შეჰპირდა, რომ ვიშუამდგომლებ მთავრობის წინაშე, რათა განსაკუთრებული ჯილდო მისცენ ასეთს გულადს ჯარის-კაცსაო. მოსკოველმა ვაჭარმა, მჭერმეტყველურად-კი არა, არამედ მტკიცედ წარმოსთქვა:

— საჩუქარი—საჩუქარია და კოცნა-ხვევნა ძაღლებმაც-კი იციან. აბა თუ ერთი ისეთი კაცი გამოჩნდეს, რომ მართლა და მადლობა გადაუხადოს,—და თან ამოიღო ქისა და ასიანები ამოჰყარა სკამზედ.

სხვებმაც იმის მაგალითს მიჰბაძეს და ადვილად შესაძლებელი იყო, რომ მილიციის ღარიბი ჯარის-კაცი გამდიდრებულიყო ასე ერთბაშად, მაგრამ ყველა გაკვირვებული დარჩა, როცა ქაიხოსრომ ხელები გაასავსავა.

— არა, არა, საჭირო არ არის, ჩვენ მაგისთვის ფულს არ ვიღებთ.

— შე უმსგავსოო, გაუწყრა კაპიტანი: აიღე, რატომ არ უნდა აიღო?!.

— შეუძლებელია აღება,—სთქვა ნაწყენმა ქაიხოსრომ.

— თავისის თავის მტერი ყოფილა, იძახდა ვაჭარი.

— მტერი რად იქნება, ყველა თავისის თავის მეგობარია და კეთილის მდომი.

— მაშ რას ამბობ, კაცო, ფული, ფული ყველაფერს სჯობია და შენ უარს უცხადებ?

— ჰო, ხანდახან ყველაფერსა სჯობია და ხანდახან არა!..

ვერაფრით დაიყოლიეს ქაიხოსრო, მტკიცედ იდგა თავისს სიტყვაზედ.

— ამ ტუტუცს დამიხედეთ-და!.. ჰჯავრობდა კაპიტანი.

ბრალმდებლის ამხანაგი მხოლოდ მხრებს იშმუშნიდა და ადმირალის ცოლს ეუბნებოდა:

— მხეცი ხალხია!..

— თქვენ კი საზიზღარი ხართ, უნებლიედ წამოსთქვა გულკეთილმა ანნა პეტროვნამ.

ბრალმდებლის ამხანაგი რკინასავით გაშავდა და სხვა მხარეს გაბრუნდა.

მოგზაური და რამდენიმე აფიცერი გადარჩენილის გემის ნახვით აღტაცებაში მოვიდნენ.

— მაღლა, მაღლა ვისროლოთ ეგა, აბა მალე, ბატონებო!.. და მისცვივდნენ ქაიხოსროს, რომელმაც ქარქაშიდგან ხმალი ამოიშველა.

— რას ჩადიხარ, სულელო ამათ შენი სიამოვნება უნდათ.

— როცა გსურს ვისიმე სიამოვნება, უნდა ჰკითხოთ თუ არა იმას, რა ესიამოვნება და რა არა. ეგ რა სიამოვნებაა!?.

— მაშ რა გინდა, წავიდეთ, წითელი ღვინო გადავკრათ...

— კარგი მოიგონეთ, ჩინებული აზრიაო!.. დაიძახეს აფიცრებმა და ოცდა ათამდე კაცმა გმირი წაიყვანეს იქვე მახლობლად მყოფ სასტუმროში, სადაც მალე ძველებური ქეიფი გაჩაღდა.

იმათვე ეწვიათ ადგილობრივი თავადები და აგრეთვე სხვანი, ჩოხებში გამოწყობილები; გაისმა ტკბილი „მრავალ ჟამიერი“, სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოჰყვა, კახური ნუნუა მდინარესავით მოდიოდა და გაიმართა საუბარი მოქეიფეთა შორის. ქაიხოსრომ ახლა-კი გაიგო, რომ მისი სიამოვნება უნდოდათ, გულიანად ჰკოცნიდა ყველას და ამბობდა, რომ რუსეთში მინდა წავიდეო.

— როგორ თუ რუსეთში? ჰკითხა აფიცერმა: განა აქ-კი რუსეთი არ არის.

— არა, აქ რუსეთი-კი არ არის, რუსის „ჩინოვნიკია“ აქა.

— აბა შეხედეთ, წამოიძახა გონზედ მოსულმა ბრალმდებლის მოხელემ: ჰხედავთ, მთელი ეს ბრბო არაფრად არ გვაგდებს.

— როგორ თუ არაფრად გაგდებთ, უპასუხა აფიცერმა: კაცმა მთელი გემი გადაარჩინა და ეს კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა 21 ივლისს, სამრევლო საეკლესიო მეორე კლასიან სკოლების მასწავლებელ ქალებსა და კაცებს, რომელიც ყაზანში ლექციებს ისმენდნენ ამ ზაფხულს, შემდეგი სიტყვით მიჰმართა. მოგვყავს ამ სიტყვიდგან ის ადგილები, რომლითაც უმაღლესის სასულიერო მთავრობის წარმომადგენელი პირველ დაწყებითს სამრევლო სკოლებში სამშობლო ენის სწავლების შესახებ მთავრობის აზრს ახასიათებს:

„მოგესალმებით-რა თქვენ, საეპარქიო მეორე კლასიან სკოლების მასწავლებელ ქალებსა და კაცებს, მასწავლებელთ იმ ეპარქიებისას, რომელთა მცხოვრებთ შორის მრავალი სხვა-და-სხვა ტომია, არ შემიძლიან ყურადღება არ მივაქციო, თუ რა დიდი შრომა და მეცადინეობა დაგჭირდებათ, რომ უცხო ტომთა ბავშვებს განათლება და სწავლა შესძინოთ და ამასთან ერთად სულიერად იგინი რუსეთის ერს შეუერთოთ.

როდესაც-კი უცხო ტომთა შორის სკოლების შესახებ ლაპარაკი ჩამოვარდება, აუცილებელია ადამიანმა დაუვიწყარის ნიკოლოზ ივანეს ძის ილიინსკის ნათლით მოსილი სახე თვალ-წინ არ იქონიოს, რომელმაც მართლაც გონივრულად აღნიშნა ის ერთად-ერთი შეუმცდარი საშუალება უცხო ერთა შორის სკოლის საშუალებით განათლების შეტანა, სკოლისა, რომელიც მათს ეროვნულს თავისებურობასსა და თვისებას პატივით ეპყრობა და რუსეთის კულტურას მათ შორის ნიადაგს უმზადებს. ნიკოლოზ ივანეს ძის სისტემა, რომელსაც მასწავლებელთა შორის ბადალი არა ჰყავს, იმ აზრზედაა დამყარებული, რომ უცხო ერთა გულზედ ქრისტიანულის, საეკლესიო აღზრდით იქონიონ გავლენა.

მართლ-მადიდებელთა ეკკლესია გაბრწყინვებულია არა მარტო იმისთვის, რომ არ ივიწყებს დიდად შესანიშნავს სულთ მოფენის დღესასწაულს, არამედ მისთვისაც, რომ თავისს შვილთ ნებას აძლევს, ყველამ თავისს ენაზედ აქოს, ადიდოს უფალი. ჩვენმა პირველმა მასწავლებლებმაც, კირილემ და მეთოდიმ, რომელთაც საღმრთო წერილი და საეკლესიო საგალობლები სლავურად სთარგმნეს, იგივე გვიანდერძეს, რომ სხვებსაც ისევე მოვეპყრათ, როგორც ჩვენ მოგვეპყრნენ იგინი“.

შემდეგ ვ. კ. საბლერი განმარტავს, თუ უცხო ერთა შორის მათს სამშობლო ენაზედ ქრისტიანობის მოძღვრების შესწავლას რამდენად დიდი ნაყოფი მოაქვს, როგორ ჰმოქმედობს ხალხზედ და სხ. და მერე ისევ უმთავრესს საგანს, სკოლას უბრუნდება:

„როდესაც ბავშვები წერა-კითხვას სამშობლო ენაზედ სწავლობენ, მაშინ რუსულის ენის შესასწავლადაც უკეთ ემზადებიან... უცხო ტომის მიერ თავისის ენ..ს შესწავლის დროს ასეთი თავისუფლობა ნამდვილი ქრისტიანობრივის მოძღვრების ნაყოფია. უცხო ერთა სეპარატიზმისა-კი არ უნდა გვეშინოდეს, უნდა ვცდილობდეთ, რომ უცხო ერთ დავანახვოთ, რომ რუსეთის ნაციონალური იდეა მათს თავისებურობას პატივით ეპყრობა. მაშინ უცხო ერნიც ამ იდეას შეისისხლ-ხორცებენ, რადგანაც დარწმუნდებიან, რომ იგი კეთილ-დღეობას ანიჭებს. მაგრამ ყველა ამ აზრისა როდია. რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილი საუკეთესო საშუალებად იმასა სთვლის, რომ უცხო ერთა ენას ბოლო უცბად მოუღოს და სკოლებში მხოლოდ რუსული ენა ასწავლოს ბავშვებს. გარეგნობით ეს აზრი ადამიანს ადვილად წაიტყუებს. განა მასწავლებლისათვის უმჯობესი არ არის ერთს რომელსამე ენაზედ ასწავლიდეს, ვიდრე ორი ენა გაიხადოს თავში საცემად? მაგრამ უმთავრესს-კი ივიწყებენ, — რომ სკოლას მხოლოდ მექანიკურად წერა-კითხვის შესწავლა არა აქვს აზრად. არა, სკოლის დანიშნულება და დედა აზრი შედარებით უფრო რთულია: იგი უნდა სცდილობდეს სკოლაში მოსწავლეს გარკვეული მისწრაფება და აზრი ჩაუნერგოსო“.

როგორც ვ. კ. საბლერის მიერ ყაზანში წარმოთქმულ სიტყვიდგანა სჩანს, მთავრობა სრულიადაც არ არის წინააღმდეგი, რომ რუსეთის ქვეშევრდომ პატარა უცხო ერთა შორის ბავშვებს სამშობლო ენა შეასწავლონ და მისი საშუალებით ქრისტიანობის მოძღვრების ნათელი უხვად მოჰფინონ.

ჩვენთვის მაინც დიდად საყურადღებოა უმაღლესის სასულიერო მთავრობის წარმომადგენელის აზრი ამ საგნის შესახებ, მეტადრე დღევანდელს გარემოებაში, როდესაც ჩვენში უპირატესობა სამრევლო-საეკლესიო სკოლებს ეძლევა და იმედიც უნდა ვიქონიოთ, ადგილობრივი სამრევლო-საეკლესიო სკოლების გამგე უმაღლესი მთავრობა ამ აზრს ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს და სამშობლო ენის შესწავლას ჩვენს სამრევლო-საეკლესიო სკოლებში მეტს ადგილს დაუთმობს; ხოლო თითონ მასწავლებელნი, ამ ავტორიტეტით წაქეზებულნი, თავიანთს წმიდა მოვალეობას მეტის გულ-მოდგინებით ემსახურებიან და ხალხის განათლების საქმეში მეტს სიცოცხლეს შეიტანენ. მაშინ რუსულის ენის შესწავლაც შედარებით ძლიერ გაუადვილდებათ ბავშვებს და შეგნებულად შეითვისებენ ყოველსავეს, რაიცა დღეს ზოგიერთის პედაგოგის მეოხებით კაჭკაჭივით აქვს ბავშს გაზეპირებული და სკოლის გარეთ-კი აღარა მისდევს-რა.

# რუსეთი

1-ლ აგვისტოდგან დედათა უმაღლესს საპედაგოგო კურსებზედ შემსვლელთაგან თხოვნების მიღება შეწყვეტილ იქმნა. ამ წელს სულ 130 თავისუფალი ადგილია. საკონკურსო გამოცდა 14 აგვისტოს იქმნება. სწავლა 15 აგვისტოს დაიწყება.

— რკინის გზის საკომერციო სამსახურის უფროსთა კრებაზედ, რომელიც ახლახან მოხდა, ლაპარაკი თურმე აღძრეს იმის შესახებ, რომ გამორკვეულ იქმნას, როგორ უნდა გარდახდეთ საგზაო ფასი რკინის გზით უბილეთოდ წამსვლელთ, როდესაც-კი ასეთს გარემოებას აღმოაჩენენ, — საზოგადო სამგზავრო გარდასახადის მიხედვითა, თუ ქალაქის პირად მოგზაურთათვის დადგენილ გარდასახადის მიხედვით. კრებას დაუდგენია, მგზავრს ორ-ნაირი ფასი გარდაჰხდეს საკონტროლო სადგურიდგან იმ მახლობელ სადგურამდე, სადაც უბილეთო მგზავრს აღმოაჩენენ.

— ექიმთა საერთაშორისო მე-XII კრებაზედ დამსწრე წევრთა რიცხვი დღითი-დღე ჰმატულობს. ამ ჟამად უკვე 6,000 წევრია ჩაწერილი. უცხოელი დელეგატები იკრიბებიან კიდეც მოსკოვში. აღმსრულებელმა კომიტეტმა უკვე შეიმუშავა პროგრამა.

— თურქესტანის მხარეში გარდასახადთა ინსპექტორების მოღვაწეობის სარევიზიოდ ფინანსთა სამინისტროს გარდასახადთა დეპარტამენტის რევიზორი კოლ. ასს. ტერ-ღუკასოვი გაუგზავნია.

— სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ამ დღეებში ყაზანის საგუბერნიო ერობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ 1898 წ. ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო და შინა ხელოსანთა ნაწარმოების გამოფენა გამართულიყო და ამ საგნისათვის მთავრობას 5 ათასი მანეთი გადაედვა, არ შეიწყნარა.

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** კონსტანტინეპოლიდგან დეპეშით იუწყებიან, 30 ივლისს თოფხანეში მომხდარ კრების დროს ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა თევფიქ ფაშამ წარუდგინა ელჩებს პირობანი და განუცხადა, რომ მხოლოდ ამ პირობით შეგვიძლიან თესალიიდგან ჯარის გაყვანაო. ელჩებმა ამ საქმის გადაწყვეტა გადასდეს იმ დრომდის, ვიდრე თავიანთ მთავრობისაგან მოწერილობას მიიღებენ. შემდეგი კრება თოფხანეში მოხდება ხუთშაბათს ან შაბათს.

— დეპეშავე იუწყება, რომ ამ ბოლოს დროს ოსმალეთის გაზეთებში მრავალი წერილები იბეჭდება ინგლისის წინააღმდეგ. აქაური დიპლომატები დიდს მნიშვნელობასა და ყურადღებას აქცევენ ამ წერილებსაო.

**ოსმალეთი და საბერძნეთი.** „Times“-ს დეპეშით სწერენ ათინიდგან: „ოსმალეთმა საბერძნეთის მთავრობას შეატყობინა, რომ არ შეგვიძლიან თესალიიდგან ჯარის გაყვანა, რადგანაც ამისათვის საჭირო ფული არა გვაქვსო. ამ საქმეს შევუდგებით მხოლოდ მაშინ, როდესაც სამხედრო ჯილდოს პირველ ნაწილს ერთს მილიონს — მოგვცემთო. საბერძნეთის მთავრობამ უპასუხა, რომ ფულის შოვნა მხოლოდ სხვა სახელმწიფოთაგან სესხით შეგვიძლიან, მაგრამ ამას ვერ ვიზამთ, ვიდრე ნება არ მოგვეცემა ობლიგაციების პატრონებთან დავიწყოთ მოლაპარაკებაო“.

**საბერძნეთი.** საბერძნეთში ეხლა მხოლოდ ფინანსების კონტროლის შესახებ-ღაა ლაპარაკი. ყველანი წინააღმდეგნი არიან ამ კონტროლისა და ძალას ატანენ მთავრობას, რომ მან არ მიიღოს ევროპის სახელმწიფოთა წინადადება კონტროლის შესახებ. გაზ. „Neve Freie Presse“-ს სიტყვით საბერძნეთის მეფემ გიორგიმ გამოუცხადა თავისს ნათესავებს, რომ არას გზით არ მივიღებ კონტროლსაო და თუ ძალა დამატანეს, მეფობაზედ უარს ვიტყვიო. მეფის ასეთმა გარდაწყვეტილმა მოქმედებამ მთავრობაზედაც გავლენა იქონია. წინად მთავრობა კონტროლის მიღების თანახმა იყო, ხოლო ამ ბოლოს დროს სულ სხვა აზრს დაადგა. 21 ივლისს გარეშე საქმეთა მინისტრმა სკულუდისმა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ ქაღალდი გაუგზავნა, რომელშიაც საბერძნეთის ფინანსებზედ კონტროლის შემოღების შესახებ წინააღმდეგობას აცხადებს. 21 ივლისსავე შესდგა ათინის მოქალაქეთა კრება, რომელზედაც დაადგინეს, ამორჩეულის კაცების პირით სთხოვონ მეფეს არ მიიღოს მან კონტროლი და თუ ეს შეუძლებელი იქმნება, განაახლოს ოსმალეთთან ომი. ასე თუ ისე, ბერძნები ჯერ არ სცხრებიან და სცდილობენ, თავისი გაიყვანონ.

---

დევ გეცოტავებათ?

— მე არაფერი მეთქმის მაგის შესახებ, მაგრამ პრინციპები, პრინციპები არ მოეპოვება მაგას. თუ გემი გადაარჩინა, ეგ მხოლოდ სიყოჩაღით მოუვიდა.

— რას ამბობს, იკითხა ქაიხოსრომ, რა არ მოეპოებაო?

— ამბობს რაღა, თავისთვის ლაპარაკობს, უთხრა ვიღაცამ: ეგ ამბობს, რომ შენ დღეს ღმერთი გმფარველობს და გამარჯვებაც შენიაო.

— ღმერთი ყოველთვინ გვმფარველობსო, — უპასუხა ქაიხოსრომ.

— არა, შეუძლებელია მაგის თქმა, უთხრა ბრალმდებელის ამხანაგმა.

— შენთვის შეუძლებელი არის მაგის თქმა და ჩემთვის-კი შესაძლებელია.

— რად გინდათ რუსეთში წასვლა? — ჰკითხა ერთმა მოსაუბრეთაგანმა ცნობის-მოყვარეობით.

— მინდა ვნახო, როგორია ნამდვილი რუსი.

— როგორ, განა აქ ნამდვილი რუსები არ არიან?

— სჩანს ნამდვილი რუსები არა ყოფილან. აქაურები არ არიან მოსაწონნი და იქაურები-კი, ვგონებ, უნდა მოეწონოს ადამიანს.

— მაგას ხომ მართალს ამბობს, სთქვა კაპიტანმა.

ისევ სადღეგრძელოები დაიწყო, ისევ ქეიფი გაჩაღდა. ქაიხოსრო დაითვრა, ისე ღვინით არა, როგორაც გულ წრფელის დახვედრით და დაიწყო გულ-ახდილი ლაპარაკი. ახლა აღარავის კითხვას აღარ ელოდა, ისე ლაპარაკობდა. როდესაც სიტყვა ჩამოვარდა ეროვნების მნიშვნელობის და სახელმწიფოს კაცთ-მოყვარე მიმართულების შესახებ, ცოტა არა შემკრთალს ბრალმდებლის ამხანაგს ქაიხოსრომ მხარზედ ხელი დაადო და უთხრა:

— შენ არა გმფარველობს არა, მე მფარველობს!..

— ვივა?

— ვინა და ღმერთი. ღმერთო, ჩემო მხსნელო, ჩემო განგებავ!..

— ჰო-და რა არის, გიშველა კიდეც!..

— არა, ერთხელ-კი არ მიშველა, ორჯელ.

— ჰო, ორჯელ, მართალია!..

— არა, კიდევ სხვა დროს!

— ეგ როდისღა?

— გემის წინად.

— გვიამბე, გეთაყვა!

— კაპიტანი არ გამიწყრება?

— დააშავე რამე?.. ჰკითხა კაპიტანმა.

— მინდოდა დამეშავებინა.

— სთქვი, მე დღეს შენი უფროსი-კი არა, მეგობარი ვარ.

ქაიხოსრომ გაიღიმა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ენა ებმოდა.

— წუხელის მე და ერთი ჩემი ამხანაგი ვაპირობდით თავზედ დავსხმოდით...

— ვის უნდა დასხმოდით? იქნება აფხაზებს უხდიდით სისხლს შარშანდელის ჩხუბის გამო?

— არა, მაგისთვის გაზაფხულზედ შევემზადებით. დღეს სხვისი დედა უნდა აგვეტირებინა.

— ვის უნდა დასხმოდით?

— ხალათიანცსა.

— აბა ვინ ხალანთიაცია?

— აი, ღვინითა და თამბაქოთი რომ ვაჭრობს.

— მერე?

— გვინდოდა მისი დუქანი აგვემტუტებინა.

— მერე, რომ ციმბირში ამოჰყოფდით თავსა. გაიგებდნენ და, არ იცი, რა შავი დღე დაგადგებოდა?

— განა არ ვიცით, როგორ არ ვიცით; გაგვიგებდნენ — დაგვსჯიდნენ, თუ არა-და ხომ ვერ დაგვსჯიდნენ.

— ეგ სულელობაა!.. წამოიყვირა რამდენმამე კაცმა.

— რად გინდოდა ჩაგედინა შენ ეგა, განა საქმე გაგჭირვებია?

— საქმე წავაგე, მარკისათვისაც ფული ველარ მიშოვია, ვექილსაც გასტუმრება უნდა. ხალათიანცი-კი მდიდარია.

— მა ეხლა უარი რადა სთქვი ფულზედ? მანდ ხომ ხუთას თუმნამდე ფული იყო?

— კაი საქმისათვის ფული როდი უნდა აიღოს ადამიანმა.

— ცუდი საქმისთვის შეიძლება?..

ჰკითხა გველურად ბრალმდებლის ამხანაგმა, რომელსაც გულით ენანებოდა, რომ დანაშაული არა ჩაუდენია-რა ამ კაცსაო.

— რად არის ცუდი, ხალათიანცი ცუდი კაცია, საქმე-კი ცუდი არ არის, არამედ ვაჭრულია.

— როგორ თუ ვაჭრულიო?

იკითხა ვაჭარმა.

— ნამდვილად ვაჭრულია, უპასუხა ქაიხოსრომ: ხალათიანცი ნელნელა ატყავებს ქვეყანას, ჩვენ-კი აღშფოთებული ვძარცვავთ; ხალათიანცი იღებს უსამართლოდ და ჩვენ-კი სამართლიანად.

— ეგ ხომ ცოდვაა?

— ცოდვაც არის და ცოდვაც. ცოდვა დიდი და ცოდვა პატარა. ეგ პატარა ცოდვაა. უსინდისო კაცის შეურაცხება-პატარა ცოდვად უნდა ჩაითვალოს.

— და მიხედეთ მაგის პრინციპებს წარმოსთქვა ბრალმდებლის ამხანაგმა: აბა ამ ხალხს როგორც გსურდეთ, ისე მოექეცით, რას უზამთ!..

— შენ რად უნდა მოგვექცე, სთქვა ალეწილმა ქაიხოსრომ, როცა მოისმინა ბრალმდებლის სიტყვები: სჯობია შენ ნურც ასე მოგვექცევი, ნურც ისე, ნამდვილმა რუსმა გაგვიცნოს და დაგვაფასოს, მაშინ კარგად იქნება საქმე.

— ვაშა!... ვაშა!... დაიძახეს აფიცრებმა და კიდევ გაისმა:

— „მრავალ-ჟამიერ!,.. მრავალჟამიერ!...“

ვასო ბიბილაშვილი

**კრიტი.** ai რას ამბობს ოსმალეთის გაზეთი „მალიუმანი„ კრიტის შესახებ: „ევროპის სახელმწიფონი ვერასოდეს ვერ დაამყარებენ კრიტში მშვიდობიანობას. ისტორიამ ნათლად დაამტკიცა, რომ ყოველთვის, როდესაც ევროპიელნი ჩარეულან კრიტის საქმეში, ვერაფერი გაუკეთებიათ და მშვიდობიანობა ვერ დაუმთავრებიათ. ამიტომ ევროპის სახელმწიფოთ უნდა თავიანთი გემები დ ჯარი გაიწვიონ და კრიტის დაწყნარება ოსმალეთს მიანდონ, რომელიც ორსამს კვირაში საქმეს მოარიგებს“.

— გაზეთები იუწყებიან, რომ ოტტომანის მეორე საზღვაო დივიზია, რომელიც შვიდის გემისაგან შესდგება, ვიცე ადმირალის ბრი-ფაშის წინამძღოლობით, კრიტში წავიდაო. თუ ეს ამბავი მართალია, ამბობს გაზეთი „Свѣтъ“-ი, მაშინ ევროპა კარგა ხანი მოუნდება კრიტის საქმის გათავებას.

## ნავლისი

მამულის პატრონმა ეზოს კუთხეში ნაგავი ჰნახა და გაუჯავრდა მოსამსახურეს. მოსამსახურემ ბოდიში მოიხადა, ურემი არა გვაქვს და რითი გავიტანოთო.

— რა სულელი ხარ! შესძახა პატრონმა: ბიჭო-და, აიღე, ამოთხარე ეზოში ორმო და ეგ ნაგავი იქ ჩაყარე.

— ამონათხარს მიწას რაღა ვუყო, ბატონო?

— მართლა, რომ სულელი ყოფილხარ! ისეთი ღრმა და განიერი ორმო ამოიღე, რომ ნაგავიც ჩაეტიოს შიგა და ამონათხარი მიწაც, მორჩა და გათავდა!

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ვიდრე ანდრე წავ დოდა თვის ჰაეროსტატით ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ, საფრანგეთის აკადემიამ განიხილა პროექტი ერმიტისა და ბეზანსონისა და ამ განხილვის დროს ზოგიერთმა მეცნიერმა სთქვა, რომ ჩრდილოეთ ქვეყნებში ჰაეროსტატს დიდი განსაცდელი მოელის იქაურ ფრინველებისაგანაო. იქმნება მკითხველს გაუკვირდეს ეს ამბავი და იფიქროს, უშველებელ ჰაეროსტატს ფრინველები რას დააკლებენო, მაგრამ, როგორც მცოდნე კაცები ამბობენ, მართლა დიდი შიში ყოფილა ამ ფრინველებისაგან ჩრდილოეთ ქვეყნებში. ჯერ ერთი, აქაური ფრინველები ძლიერ დიდის ტანისანი არიან და ღონიგრებიც და გარდა ამისა ისე არიან გათამამებულნი და ისე უშიშრად დაეცემიან ხოლმე კაცს, რომ მათი თავიდგან მოშორება ძლიერ ძნელია. ვეშაპზედ მონადირენი ამბობენ, რომ როცა ვეშაპის გატყავებას დავიწყებდით ხოლმე, დაგვესეოდნენ ფრინველები და ხორცსა და ქონს ხელიდგან გვაცლიდნენ, ასე რომ კეტებით ძლივს ვიგერებდით. ეჭვი არ არის, ანდრეს ჰაეროსტატს რომ დაინახავდნენ ეს ფრინველები, ათასობით მიესეოდნენ, დაასხდებოდნენ და შეიძლება კიდეც დაეზარალებინათ იგი ნისკარტებითა და ბრჭყალებით.

* * *

მეცნიერებამ ეხლახან გამოიკვლია, რომ ჭრილობის გამო მცენარესაც, როგორც ადამიანს სიცხეს აძლევს და სუნთქვა უხშირდება. ამ გამოკვლევას ხელი მოჰკიდა ინგლისელმა რიჩარდსმა და აღმოაჩინა, რომ ჭრილობის შემდეგ ერთს დღე-ღამეზე მცენარეს სუნთქვა უხშირდება. ეს იმით აიხსნებაო, ამბობს რიჩარდსი, რომ ჭრილობის გამო მცენარის გულს კისლოროდი უფრო ადვილად ეკარებაო. ამავე დროს მცენარეს მცირეოდენ სიცხეს აძლევს, ესე იგი, ემატება მის ბუნებრივ სითბოს, რომელიც ჩვეულებრივ დროს არ აღემატება $^1/_{100}$ გრადუსს. მეცნიერმა მცირედ დასჭრა კარტოფილის მცენარე და ნახა, რომ 24 საათის შემდეგ $^2/_{10}$ გრადუსის სითბო მოემატა. მთელმა ხუთმა დღემ განვლო, ვიდრე დაჭრილს მცენარეს სიცხე გაუნელდებოდა და ტემპერატურა თავის დონეზედ დავიდოდა. ხახვს ჭრილობის გამო სიცხეს უმატებს ხოლმე 3, 5 გრადუსამდე და მთელი მცენარე ავადდება.

* * *

ჩვენს გაზეთში უკვე მოხსენებული იყო, რომ პროფესორებმა ლილიენტალმა და ლენგლიმ ჰაერში საფრენი მანქანები გამოიგონესო. ლილიენტალმა კიდეც შესწირა თავი ამ გამოგონებას. ეხლა გაზეთები სწერენ, რომ ერთს ინგლისელს მეცნიერს გვარად დავინსონსაც გამოუგონია სულ ახალი ჰაერში საფრენი მანქანა. მთელი 15 წელიწადი უშრომია თურმე დავინსონს ამ მანქანის გამოგონებაზედ. ინგლისის ერთის ჟურნალის სიტყვით, ეს მანქანა ყველა მანქანების სჯობია, რომელიც-კი აქამდე გამოუგონიათ. მანქანა საათში 150 ვერსის მანძილს გაივლის თურმე და 20 კაცის წაყვანა შეეძლება. თვით დავინსონი ამბობს, რომ სულ ცოტა ხნის შემდეგ ჰაერში საფრენი მანქანები დიდს მეტოქეობას გაუწევენ რკინის გზებსა და ომნიბუსებსაო.

## შემოწირულება

წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას შემოსწირეს:

1) ბათუმის სკოლისთვის:

ა) გრიგოლ ვოლსკიმ – 16 წიგნი, ნოტები „იავნანასი“, 5 წლის ჟურნალის ყველა ნომრები და სურათები, ღირებულნი სულ 44 მან.

ბ) მიხეილ ბეთანიშვილმა — სხვა-და-სხვა რუსული და ქართული წიგნები, კალენდრები, ჟურნალები და გაზეთები, სულ 179 მანეთისა და 79 ნერგი სხვა-და-სხვა მშვენიერის მცენარეებისა, დახლოვებით ღირებული 60 მან.

გ) ლუკა ნიკოლოზის ძემ ასათიანმა — 32 წიგნი ჟურნალის „Труды Импер. Кавк. Сельскаго Хозяйства“.

დ) ეგნატე ზაქ. გედევანოვმა 10 მან. ღარიბ მოსწავლეთათვის.

ე) ნიკოლოზ ბახტაძემ ჟურნალის „Нива“-ს ყველა ნომრები 1885—1887 წ. წ. და 4 რუსული წიგნი ღირებული 24 მან.

2) წიგნთ-საცავისა და მუზეუმისათვის:

ა) მიხეილ საბინინმა — წერილი ნეკრესელ ეპისკოპოსისა და კახეთის თავადთა მიმართ ქართლის თავადთაგან მიწერილი 1801 წელს.

ბ) ბარბარე ფურცელაძისამ — სამაჯური ლურჯის შუშისა, ნაპოვნი იმერეთში, სათლავის თხრის დროს.

გ) კიტა აბაშიძემ – 5 ნაჭერი ვერცხლის ძველი უცხო ფული.

დ) თედო რაზიკაშვილმა – 4 ნაჭერი ვერცხლის ფული და 7 ნაჭერი სპილენძის ფული, ძველები.

და ე) ვასილ ალექსანდრეს ძემ თ. თარხან-მოურავმა — ფანზავის მოურავის გიორგი ორბელიანის ნაქონი თოფი.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთა.

## ახალი წიგნი

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი ნ. რუბაკინის ორი ეტიუდი (ქალაქის მაძიებელნი“ და „პირის პირ“) თარგმანი. გამოცემა ახალის მკითხველისა, №-3. წიგნი შეიცავს 99 გვერდს, საშუალო ფარმატისაა, ღირს 20 კ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 აგვისტო

**პარიზი.** პრინცი ჰენრის ორლეანელი, ლეონტიევთან, მურრიშონთან და რამდენიმე მეგობართან ერთად მოვიდა პარიზში. ორლეანელის სეკუნდანტები, ლეონტიევი და მურრიშონი, ხვალ ინახულებენ გენერალ ალბერტონეს სეკუნდანტებს.

**ლონდონი.** „Dailu Wems“ ატყობინებენ თავრიზიდგან, რომ სპარსეთის ჯარმა, ცხარე ბრძოლის შემდეგ, განდევნა ქურთები, რომელნიც მოსაზღვრე სოფლებს დაეცნენ. ქურთებსა და მეამბოხე სომხებს რამდენიმე შეტაკება ჰქონდათ ვანის პროვინციის აგბარის ოლქში. შესამჩნევის დასაკლისის შემდეგ ორსავე მხრიდგან მებრძოლენი ერთმანეთს განშორდნენ. სომხები სპარსეთის საზღვარს გადავიდნენ და ემზადებიან ხელ-ახლა დასაცემად.

**ვენა.** „Wiener apenqrost“ იუწყება: „სადიპლომატო აგენტებმა და საგენერალო ელჩებმა სოფიაში, ბარონ კელლმა შეატყობინა გუშინ ბოლგარიის მთავრობას, რომ ავსტრი-უნგრეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მონდობილებით დროებით თავს ვანებებ სამსახურს და სააგენტოს და საელჩოს მმართველობას ვაბარებ საელჩოს მდივანს ბორონ გენნინგს“. გაზეთი უმატებს: „ეს განკარგულება აიხსნება იმით, რომ ბოლგარიის სამთავროს მინისტერ-პრეზიდენტმა სტოილოვმა არ ასრულა მოთხოვნილება — ფორმალურად და დამტკიცებით უარ-ჰყოს დანიშნულ დროს, 31 ივლისს „Localanzeider“-ში ავსტრი უნგრეთის და იმპერატორის სახლეულობის შესახებ გამოქვეყნებული უპატიური სიტყვები.

**ბერლინი.** გაზეთებს დიდი ლაპარაკი აქვთ წარსული დღესასწაულების შესაბ და ცხარე წერილები იმპერატორთა შეხვედრას მშვიდობიანობის დემინსტრაციას უწოდებენ.

**ლონდონი.** „Times“ დეპეშით ატყობინებენ სიმლიდგან, რომ მაჰმადიანები დაეცნენ პეშივარის ჩრდილოეთით მდებარე სიმაგრეს. უთუოდ, მათ შორის უმეტესობას ავგანელნი შეადგენდნენ. ავგანიის მოხელეთ არავითარი სეშუალება არ იხმარეს იმათ გასადევნად. პირიქით, ავგანიის ჯარის მთავარ-სარდალს მუდამ კავშირი ჰქონდა იმ მოლასთან, რომელიც წინამძღოლობდა მეამბოხეთ. პეშანელში შემდეგ ჯარს გაგზავნიან: ბრიტანიის ცხენოსანი რაზმი, ბრიტანიის ორი ბატარეია და მკვიდრთაგან შემდგარი ქვეითა რაზმი.


# განცხადებანი



ვერცხლისა



ოქროსი


ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა

ზეთიანის სადებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

პატივცემული ტფილისისა და თითქმის მთელის ქართლ-კახეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჩემის სამღებრო ქარხნიდგან (заводъ красокъ) ეძლევათ მათ საუკეთესოდ მომზადებული სადებავები (კრასკები). დადგა რა ზაფხული, ვამზადებ ყოველს ნაირს სადებავს: იატაკებისას, სახურავებისას, კარ-ფანჯრებისას, და სხვათა, მხოლოდ ამ წლობით განსხვავება იმაშია, რომ ზეთით არეულ კრასკებს ფუთს მანეთ ნაკლებად ვყიდით ნაღდზედ.

უმთავრესი ქარხანა გასაღესად კრასკებისა გადავიტანე მიხაილოვის ქუჩაზედ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97, და წვრილად გასაყიდად ერთი განყოფილება მაქვს იარმუკაზედ, სადაც აქამდის ვვაჭრობდი, იმის პირდაპირ, ქუთაისის სასტუმროს ქვეშ, და მეორე განყოფილება — ავლაბარში, სირაჯხანის თავზედ.

ყველა საქონლის ყიდვის მსურველთ მიჰმართონ პირდაპირ განყოფილებას, რადგანაც ხელოსნებს, თვისის პირადის ანგარიშების გამო მსყიდველები მიჰყავთ იქ, სადაც უვარგისს სადებავებს აძლევენ.

ამათ გარდა, ვკისრულობ ყოველ გვარს რემონტებს სახლებისას. საქონელი სხვა ალაგებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას-დადებულ.

ა. თუთაევი (—6.—4)

Открыта полугодовая подписка

**(ВТОРАЯ ПОЛОВИНА 1897 Г.)**

*на ежедневную политическо-литературную и общественную газету*

VIII Годъ изданія. **„Русскій листокъ“** VIII Годъ изданія.

выходящую БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ.

за шесть мѣсяцев 3а руб. 50 коп.
за три мѣсяца 2 руб.

„Русскій Листокъ“ издается, **не смотря на свою крайне дешевую** подписную цѣну, въ форматѣ самыхъ **большихъ** и **дорогихъ** столичныхъ газетъ. Программа изданія настолько же обширна, какъ и во всѣхъ большихъ газетахъ, и „Русскій Листокъ“, слѣдя самымъ тщательнымъ образомъ за текущею политическою и общественною жизнью, дaетъ отвѣты на всѣ вопросы современнаго дня. Ежедневно въ фельетонахъ газеты печатаются бытовые, историческіе и другіе романы, повѣсти, разсказы, стихи, а также даются новости иностранной литературы.

Съ половины іюня начинаются новые романы, начало которыхъ будетъ выслано всѣмъ новымъ полугодовымъ подписчикамъ.

„Руссій Листонъ“ издается по слѣдующей строговыполняемой программѣ:

1) Правительственныя распоряженія и придворныя извѣстія. 2) Передовыя (руководящія) статьи по внутреннимъ вопросамъ и внѣшей политикѣ. 3) Телеграммы собственныхъ корреспондентовъ и „Россіискаго телеграфнаго агентства“. 4) Хроника: московская, петербургская и провинціальная. 5) Корреспонденціи изъ всѣхъ городовъ Россіи и Европы. 6) Дневникъ печати. 7) Извѣстія изъ иностранныхъ газетъ. 8) Судебная хроника. 9) Театръ, музыка и живопись. 10) Критика и библіографія. 11) Биржевая хроника. 12) Фельетоны: литературные, научные и общественной жизни. 13) Спортъ. 14) Мелкія замѣтки, разныя извѣстія и смѣсь. 15) Портреты, рисунки, планы и чертежи.

Адресъ для писемъ: *Москва, уг. Срѣтенки и Рыбникова переулка.*

(3—უ—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Августъ 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.